

# ანკესი

მ ა ნ ა ხ ი

გამეფა დროგამოშვებით სხვა და სხვა სახელით.

ადრესი: პოდგორნაია სერგო გერსამია.

შინაარსი: მეთაური—ანკესისა, „ტურფავ გენუკვი“—ლექსი დ. მაიაშვილისა, „ორი უურდლის ქერა“—სერგოზი, „მესტვირული“—ასკ. პროკოფიასი, „ვექილთან“—გ. მეზურნესი, „მოგონებანი“, ძველი აჩრდილიდან—ღონ-ღანისა; ქალ-ვაჟი—წიკიბურტისა, „ირგვილი ბნელა“—ლემსი კ. ქუთათელისა, „მაჰანკალი დგ ვასათხოვარი ქალი“—ლამურასი. „სცენა“—ქმუისელი ზვლიკის, „სამდრო“—ლექსი ზაბულაინისა და სხვ.

## ქუთაისი — ივლისი.

გვაპატიეთ მკითხველო, თუ ჩვენმა „ანკესმა“ კენესის და მწუხარების მეტი არა ვიამბოს თავის მეთაურში, მაგრამ შეძლებისადაგვარად, ვეცდებით—კენესაში და მწუხარებაში ცოტა სიცილიც ჩაუროთ, რადგან უამისოთ ჩვენი აღმანახი—აცდება თავის დანიშნულებას. მართალია, ბევრი მტრები და დამკინავეები ყავს ჩვენს აღმანახებს და ათასნაირი უფვანო-უდიერ სახელით გვნათლავენ, მაგრამ ეს ჩვენ სრულებით არც გვაშინებს, არც გვაფიქრებს, პირიქით მეტს ენერგიას გვიმატებს, რომ უფრო ხალისით განვაგრძოთ მისი გამოცემა, თუ ხშირად არა, დროგამოშვებით მაინც. რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით მივიღებთ ამა თუ იმ შენიშვნას და მადლობელიც ვიქნებით მასთან, ვინც პატიოსნათ, ზრდილობიანად შეცთომებზე მიგვითითებს. მაგრამ, როდესაც ვინმე, შურიანი და ღვარძლიანი ენით ალაპარაკდება ჩვენს წინააღმდეგ, მისთვის მზათ არის „ანკესი“ და, ვაი მათ, ვინც ჩვენს „ანკესის“ წევრს იხილავს. ვერავითარი თევ-

ზური ცურვა მას ვეღარ უშველის თუ „ანკესის“ წევრს წამოეფო...

მეთაურის წინასიტყვაობა ცოტა არ იყოს გაგვიგძელდა და აქაც პატიებას მოვითხოვთ მკითხველისაგან მაგრამ... დიახ, დანარჩენი განმარტება მაგრამში დარჩეს...

ვიწყებთ კიდევ და „პოჟალუსტა“ ყური გვიგდეთ: მოგვხსენებათ, რომ—საზოგადოება დაყოფილია კლასებათ, ნაწილებათ: თქვენც იცითი თვითეულ კლასს, თვითეულ ნაწილს თვისი ინტერესები აქვთ, მათთვის იბრძვიან, მათთვის იღწვიან. მართალია, დღევანდელ პირობების ზეგავლენით თუ წყალობით „მაგრათ“ ლაპარაკი არ გვარგია და ცოტა სიღინჯე, თავის დაჭერა გვმართებს, მაგრამ თუ სულ არაფერი დავწერეთ, მაშინ თქვენც რაღას წაიკითხავთ და ამისათვის, დიახ ამისათვის... ხო ამისათვის... თვის თუ წლის განმავლობაში... მაგრამ... ეხ! მაგრამ ამაზე შემდეგ... გადავიდეთ ეკონომიურ საკითხზე ესე იგი კუჭზე და თუ გინადათ შემდეგ მუჭზე... მაგრამ ამისთვის...



მაგრამ ამიტომ... მხოლოდ იმიტომ, ჩვენ გვინდა ორიბრედ სიტყვით შევეცხოთ „მაკიდოს“. მაკიდოს იმერულათ, თუ ქუთაისურათ „ოხრახუშს“ ეძახიან, მაგრამ, რადგან ამ სტრიქონების დამწერი „გაშა გურულია“ აბატივთ (ამდენი პატიებაც აღარ...) რომ „მაკიდო“ წამოცთა, რადგან გურიაში რომ „ოხრახუში“ ახსენო— დაცინვით გეტყვიან: „გარედ გაზრდილია კაცია, განათლებულია „სხვანაირად“—ქალაქურად ლაპარაკობსო და სხვ.“ ამიტომ, რადგან მე დაცინვის ძლიერ მეშინია—იმიტომ... მაგრამ... ეხ! დავიბენი მგონი, იმიტომ ცუდია ეს ოხერა მუხის ლიტინი...

მოგეხსენებათ, რომ „მაკიდოს“ ხმარობენ ყველაზე უფრო ხარჩოში (მგონია ხარჩო იცით...) „უმაკიდოთ“ ხარჩოს, ვერც ესფერი სჭამს და ვერც ესდევია, ვერც მდიდრები და ვერც ღარიბები... დიახ „მაკიდო“ ეს ის მცენარეა. ურომლისოთაც არცერთი კლასი, არც ერთი საზოგადოება და მიმართულება ვერ იხეირებს. თუ საიდან წარმოსდგა ამ ძვირფასს მცენარის ხმარება ჩვენში და ვინ მოიგონა, ამაზე კი ვერაფერსაც ვერ ვიტყვით, რადგან არ ვიცით (რუსულათ „ნეზნაემ“) ჩვენ „ზნაემ“ მხოლოთ, რომ ეს მცენარე (უკაც. რუსულიც საჭიროა, „ხონელებისთვის“ „პეტრუშკა“ არის საუკეთესო ხარჩოსთვის...

ეხ! დასწყევლოს ღმერთმა, ზევით ვამბობდით „მაგარ“ სიტყვებს არ ვინმართთქო და მაინც წამოგვცთა. ვაი თუ სამი თვე ციხე ან ხუთასი ჯორის ნალი მივიდოთ საჩუქრათ. მაგრამ თუ გვიშველა აქვე დავსვამთ წერტილებს და ჩავალთ ხონში...

მივალთ „ანკესით“ წ. კ. გ. საზ. განყოფილებაში და ვავიგებთ საქმე რაშია, რომ პროტესტს უცხადებან ქართულ გაზეთს „კოლხიდას“: რომ „კოლხიდაში“ ზოგიერთი საპროტესტო წერილები იბეჭდება, ამაზე, „ანკესიც“ „ნიჩეეო პროტივ ნე იმეტ“—მაგრამ როდესაც მთელ გაზეთს, მთელ რედაქციას ზიზღს უცხადებენ და კიცხავენ, მაშინ კი „ანკესი“ ყოველ ღონეს იხმარს თავის წვერზე წამოაგოს ზიზღის ინიციატორნი: კიკალ-ჭრიჭინოვლი. დიახ „ანკესი“ ეცთება მათ აკვნესებას, მხოლოთ შეღავათს მისცემს მით, რომ რადგან ქართულათ კვნესა არ ეხერხებათ, რუსულათ იკვნესონ... (რას იქმნთ, უნდა

მიუტევოთ—სწავლის სისტემის ბრალია?! ერთი მხრით, ამასაც ვიტყვით: ხონის წერა კითხვის გამაცრუებელი, უკაცრ. კორექტ. შეცთომისთვის---გამავრცელებელი უნდა იყოს, საზოგადოება მადლობის ღირსიც არის ასეთ--აურ-ზაურისათვის, რადგან გაზეთებს მასალა ეძლევათ ახლა უფრო ღონიერად ერთიმეორე.

ჩვენ „ანკესი“---ონდოდა ბევრი რამ ეთქვა ჩვენს პრესაზე და მათ სულის ჩამდგმელებზე, მაგრამ სამწუხაროდ, მეთაური ცოტა არ იყოს ისედაც გაგვიგრძელდა და მეტს ვერც დაიტევს პაწია აღმინახი, ვეცთები, თუ „ღმერთი შეგვეწია“ შემდეგში ვისაუბროთ ჩვენს პრესაზე, რომლებიც ისე დაწვრილმანდენ ერთიმეორესთან ბრქოლაში, რომ მგონი დედამის გინებამდეც შესტოფონ. დასასრულ, ვაი იმ ხალხს, სადაც მარტო სიტყვების რახი რუხის მეტი არა კეთდება რა. ვაი იმ ერს, სადაც ეროვნულ ქნას, ამ წმიდათა წმიდის „ოქროს და ვერცხლს ქვეშ თელავენ...

ცოტა ფთხილათ ბატონებო და ქალთ ბატონებო.. ფრთხილად.. თორემ.. ხალხი. ის ხალხი... რომლის... დიახ... რომლის.. მაგრამ მგონი ახლა ვცდი საგანს... „მაკი,ო“ ეს ისეთ მცენარეა. ურომლი თოც... ხალხის... დიახ... ხაზ... მაგრამ.. უკაცრავათ... ხახვზე შემდეგ მეთაურში.. მგონი „მაკიდომ“ გადამარჩინოს ციხის კედერს. „ანკესი.“

## ტურფავ გენუკვი!

ტურფავ გენუკვი, გემუდარები,  
 ნუ დამანახებთ თვალს აცრემლებულს,  
 ნუ ნუ მაგონებ ხმასა მკვნესარეს,  
 მით ნუ მომიკლავ გულს დაწყლო-  
 ლებულს!..

ტურფავ დამეხსენ!.. ღვთის გულისათვის  
 ზრძოლისა ველზე ნუ მაგვიანებ!..  
 არ შემიძლია შენთან აღერსი...  
 ბთხოვ ჩემს მუდარას ნუ ანიავებ!..

მუხლებსა ვიდრეც შენსა წინაშე,  
 ბემუდარები ნუ, ნუ მაწვალებ!...  
 ვერ მოვისვენებ, ვიდრე... .

დ. მაიაშვილი

# ორი ურდული ჭიკა.

(სტენა ქალების ცხოვრებადან)

ელისაბედი — გასათხოვარი ქალი 32—33 წლისა პეტრე — ელისაბედის პირველი საქმრო 29 წლ. ივანე — მეორე საქმრო 45წ. სტენა წამოაფგენს ელისაბედის ოთახს. ის მარტაა.

**ელის.**— გამიჭირდა ღმერთმანი საქმე, რა ჯანდაბა დამემართა რომ არ ვიცი ჩემი ტოლი ქალები დაქმარწვილებული არიან, ჩემს თხოვაზე კი ყურსაც არავენ აბარტყუნებს... თვალნაცემი ვარ თუ დაუქმურებული ვერაფერი გავიგე... (გაიხედავს ფანჯარაში) ნეტავი თქვენ რა ბედნიერი ხართ... ყველასა ყავს თითო კაცი ამოჩრილი გვერდში და ეკურკულეება, მე კი ახლოც არავენ მეკარება თითქოს ასი წლის ბებერი ვიყო, არა ამან გამიხეთქა გული ლაპარაკსაც რომ არავენ კადრულობს ჩემთან, ეშინიათ ალბათ მაგრამ რისი, „წელკავი“, ხომ არა მყავს დამწიფდელი რო ეტაკოს იმგენს. (გაიხედავს) არ მოდიან, არ მოდიან... არა მე თუ ეშმაკები არ მყავდა გამჯდარი ტანში რატომ არ ვჯვრდებოდი წინათ გათხოვებაზე, მაგრამ ყველაზე უკეთესი მინდოდა, ახლა იქეთ ვეხვეწები წამიყვანეთ მეთქი, — არავის არ უნდევარ. ამგენმაც თუ მიღალატეს და არ მითხრვს, მაშინ საქმს უკუღმა წავა. პეტრე მაინც, პეტრე რა კაცია, ოხ, როდის მეღირსება, როდის, რომ მოვშორდე ჩვენთანების „ჯუჯღურს“ და საყვედურს... მაგრამ რავა ღმერთი გაწყრება, — ამ ორში ერთი არ მითხრვს... თუ უარი მითხრვს გავიგებ მაინც ჩემ უიღბლობას... მაშინ დავიწყებ წარამარა ბუღეარში „ხუნტრუს“, ეგებ ვინმეს გადავეკიდო. (გაიხედავს) ა,ა,ა, აგერ არ მოდის პეტრე, შენ კი გენაცვალე კისერში. რა,რა,რა, დაიწყებს სიმღერას და თან ცეკვას მაგრამ იცი რა, მოდი მოწყენილი დახვდები უკეთესი იქნება. (ჩამოჯდება და ხელზე დაეყრდნობა, შემოდის პეტრე).

**პეტრე.**—სალამო მშვიდობისა ჩემის გულის „კლაპიტონს“, სულის მალამოს... რაა ვითამ, როგორ მოგიწყენია ავად ხომ არა ხარ? (ეაღერებს)

**ელის.**— შეუძლოთა ვარ რაღაც. სად იყავი ამდენ ხანს, ნუ თუ არ მოგენატრა ჩემი ნახვა?!

**პეტრე.**—(იციინს) ხა,ხა,ხა, შენი ნახვა როგორ არ მომენატრა, მაგრამ საქმეებმა შენამდი არ მომიშვეს.

**ელის.** შენ საქმეებს ლაპარაკობ, შენ კი შენს ნახვაზე სული უნდა გელტყოს შენ კი ვინ იცის ეგებ არშიყობდი კიდეც?

**პეტრე.** (თავისთვის) აბა შენ თუ შეგაჩერდი მომხედა ღმერთმა. (იმას) ეგ კი შეუძლებელია ჩემო კარგო, მე შენ არ გავცვლიდი არაფერში. შენ ხარ ჩემი ამომავალი მზე, ჩემი მთვარე, და ვარსკვლავები (თავისთვის) ისე იცოცხლე შენ.

**ელის.**—კაცებმა ლაპარაკი ბევრი იცით საქმე კი ცოტა

**პეტრე.**—მე ხომ მაგ ჯგუფის კაცებს არ ვურვევიარ... მე ლაპარაკთან საქმეც ვიცი, შენ კი ეჭვიც არა ფერზე დაგებადოს, თუ გინდა ამას საქმითაც დაგიმტკიცებ აი, აი, აი, (კოცნის.)

**ელის.**—(განგებ) მომშორდი, მომშორდი სირცხვლია, ჩვენ ხომ ჯერ ჯვარი არ დაგვიწერია?!

**პეტრე.**—მაგის ჯავრი გაქვს შენ ხელა ქალს.?!

**ელის.**—აბა რისი ჯავრი უნდა მქონდეს... როდის დავიწეროთ ჯვარი გადავწვიტოთ ბარემ და ის იქნება...

**პეტრე.**—(თავისთვის) ვაი შარს. (იმას) რა დროს მაგ არას ერთი თუ ღმერთი გრწამს მოდი ერთი კიდეც გაკოცო... კოცნის

**ელის.**—მაგას მერეც მოვესწრებით... (გულ მოსული) ახლა კი უსათუოთ საქმეზე ვილაპარაკოთ.

**პეტრე.**—გეწყენა თუ. მაშ ისევ კოცნით და გატკობ. (კოცნის).

**ივან.**—(შემოდის) ააა, ეგ კარგი ამბავია, არა შე დიაცო, ახლა ამას სწადი ხარ ჩვენ ჯვარი რომ დავიწეროთ მაშინ რას იზამ?!

**პეტრე.**—შენ ვინ მოგცა აქ შემოსვლის უფლება...

**ივან.**—კიდეც უსირცხოთ ლაპარაკობ, შენ თვითან ვინ გითხრა აქ შამოდლო?!

**პეტრე.**—ვინ და ეგ ხომ ჩემი საცოლოა.

**ივან.**—როგორ თუ შენი. შენ ვინ მოგცა.... არა ჩემია ჩემი....

**ელის.**—ვაი უბედურო ჩემო თავო... გაჩუმდით ნუ მომტყერით თავი ქვეყანაზე.

**პეტრე.**—ეგაა განა შენი სიყვარული? (გაღის.)

**ივანე.**— ასეთ სიყვარულს მპირდებოდი განა? კარგი; კარგი (გაღის)

ელის.---არ დავიღუპე ქალი ქე არ დამე-  
შალა ოინები. მაგრამ სხვამ ვინ დაიჭირა  
ორი კურდღელი მერომ დამეჭირა.  
სერგო.

## მესტვირული.

ღიღი ხანია სტვირისთვის  
არ შემინია ხელია,  
და ეხლა ყური მომაპყართ  
თუ გსურთ ამბები ცხელია.

ბევრი რამ მოხდა მკითხველო  
ამ ცოტა ხანში სასტვირო,  
---თუ გუდამ ხელი შემიწყო  
მგონი კიდევცა გატირო.

მინდა ხონიდან დავიწყო  
ი. ჭავჭავაძის არაკი,  
სადაც გულ დასმით მოგვეთხრობს  
რამ შექმნა იქ ფათარაკი.

მაგრამ მერწმუნეთ, შორს წავალთ  
თუ მას კვალ და კვალ გავყევი,  
და ისევ მგონი---აჯობოს  
ამოვიწეროთ ნარკვევი.

ნარკვევიდან კი, გავიგოს---  
დასკვნა ყოფილა ასეთი:  
„ხონელებს“---შესძაგებიათ  
„შოლტის“---„კოლხიდა“ გაზეთი.

ზიზღი, პროტესტი, იმ გაზეთს  
სადაც სწერს---ურცხვად „შოლტის“  
სადაც პირველად „უღმობლით“  
პრესა გახდა---ნოტიო.

უკამათიათ აგრეთვე  
გზა კვალ აბნეულთ „დამებსა“  
პიკალი---ჭრიჭინაძების  
ბადაგვარებულთ დანებსა.

მაგრამ ეს! აქ გავჩუმდები  
„ხონზე“ რაღა მაქვს სათქმელი,  
სადაც ქართულსა გაზეთსა  
ზიზღით უხსენეს სახელი.

რომ ვიღაც „შოლტის“ კილოსა  
პირი არ უჩანს საქები,  
თუ იმას „უპრატესტებენ“  
ამაში მეც ვეთანხმები.

მაგრამ იქ, საცა ზიზღს ძღვნიან  
გაზეთს---დამცველსა ენისა,  
მერწმუნეთ მაშინ, ის დაბა  
ბუდეა ველურობისა.

მაგრამ ეს! როგორ დამეტყო  
მს გაბრაზება წყეული,  
იქ ველურობას რა უნდა  
მოსე რომ იშვა ხონელი.

ვიღაც კიკოლას, ჭრიჭინას  
ხელში უგდიათ კრებები,

და ამასთვის მთელ დაბას  
მკუთვნის საყვედურები?!  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

არა, აქ ჩემო ქამანჩავ  
ცოტა სიღინჯე გჭირია,  
შლისრ შვილთ უშენობითაც  
თვით გაუჩნდება ჭირია.

ახლა ვესტუმროთ ცოტა ხნით  
„არქივარუსათ“ წოდებულს,  
რომელიც, ბლაგვი კალამით,  
წაბაღვს---მიღებულ---მოღებულს.

დასცინის (!) პოეტს---რუხაძეს  
არ მოსწონს მისი ლექსები,\*)  
რადგან არა სწერს ქალებზე  
არ ახსოვს „ოქროს ფეხები“.

„კოლხიდავ“! გულწრფელად გირჩევ  
ჩირქს, ნუ, ნუ იცხებთ ბალებით,  
პედებით---დანაშინულებას  
შველასი კარის გაღებით.

„შოლტი“ თვით თქვენვე გაშოლტეთ  
შეაცვლევინეთ ჰანგები,  
თორემ „ხონელებს“---ნუ გიკვირთ  
ბაუჩდენ ამხანაგები.

„არქივარუსის“ ნაჯღაბზე  
მუშა მაქსიმემ იყვირა,  
სამკითხველოში ერთ დღესა  
მთელი „კოლხიდა“ იტირა.

ტირილს ვინ ჩივა, ის გვერდი\*)  
კალამ მოფხრიწა ხელითა,  
მოფხრეწდა, რომ არ მეთხოვა  
ხვეწნით, მღულარე ცრემლითა.

უთხარ: მიქსიმუხან, დამშვიდდი  
რათ უფოთავ რისთვის ღელდები,  
ვერ მატყობ რეაქციის დროსა  
როგორ უდროვოდ ვბერდები?!  
მს უთხარ, ღიმი შევნიშნე

ვრეწას გადარჩა გაზეთი,  
მომავალ კვირას, მაშორე  
ღმერთო ამბები ასეთი.

ახლა ნახვამდის, მკითხველო  
თუმცა ბევრი მაქვს საკვნესი,  
მაგრამ თქვენც ხედავთ, „ხონელებს“  
დასჯირღათ ჩვენი „ანკესი.“

ასკ. პროკოფია.

## ვექილთან.

ერთი ახალ გაზრდა ქალი მიდის ვექილ-  
თან და უხსნის საქმეს;

--- ვერ წარმოიდგენთ ბატონო ვექილო  
როგორ განცვიფრებაში მომიყვანა ჩემი ქრ-  
მის საქციელმა.

\*) ის. „ჩვ. ცხ.“ მე 4 ნომერი.

\*) ის. „კაღხ“ მე 69 ნომერში გვ. 4.

— ეგ მართალია, მაგრამ თქვენი საქმე მაინც ძნელი დასაცავია, რადგან ხელთ არა გაქვთ არავითარი დასამტკიცებელი საბუთი თავის გასამართლებლათ, თქვენ გნახათ თქვენმა ქმარმა სწორეთ მაშინ როდესაც დანაშაულობას სჩადიოდით; თქვენ უღალატეთ მას თქვენ მოატყვილეთ იგი.

— როგორ თუ არ მაქვს საბუთები?!

მე კიარა პირ იქით იმან მომატყვილა

— აბა მიამბეთ როგორ!

— წარმოიდგინეთ რომ იმ დილას მან აიღო ჩემოდანი ხელში და მითხრა თფილისში მივდივარო და დიდს ხანს დავრჩებო, მე რასაკვირველია ძლიერ მეწყინა

ჩემს ქმართან დიდის ხნით მოშორებულა და მეტი რა საშველი იყო გამევემშვიდობებოდა და სადგურამდე გავაცილე...

— შემდეგ

— შემდეგ არ გასულა ორი საათი მას აქეთ რომ დაბრუნდა სახლში. აი როგო მომატყვილა მან

— თქვენ ხომ სტიროდით რომ შორდებოდით მაშინ, მაგრამ მერე გადაგავიწყდათ თქვენ ქმარი არა?— იგიც დიდის ხნით მიდიოდა თფილისში მაგრამ ორ საათში დაბრუნდა არა!

— დახ.

— მაშა სადამე მიმხედარი იქნებით რომელი უფრო დამნაშავე ხართ.!? ვ. მუზრან

# მოგონებანი.

(ძველი აჩრდილიდან).

მახსოვს ღამე... როს ქარ-ბუქი, არე-მარეს აწუნებდა,

როს განთიადს გაბრწყინებულს, მწუხრის ზარი ადუნებდა.

მახსოვს ღამე... როს მაშვრალი, გოდებდა და მწუხარებდა,

როს მტარვალის გამარჯვება, მთელს მიდამოს ქუხარებდა.

მახსოვს ღამე... როს ყინვაში, მეგობართან ვიწექ თფილათ,

როს ჩემს გვერდით იქვე ახლო, დედა გვადგა ორვეს ფრთხილათ.

მახსოვს ღამე... შესაზარი, ქარი ქროდა ზუზუნებდა,

როს ჩვენს ჩაგრულ ქვეყანაში,— ცეცხლის ალი გუგუნებდა.

მახსოვს ღამე... როს მოძმენი გრძნობის თვალით შემცქეროდენ,

შნუგემოს— ნუგემს მგვრიდენ, ხან სტიროდენ, ხან მღეროდენ.

მახსოვს ღამე... აზვირთებულს, ზღვას მივადექ დასათრგუნათ,

როს ტალღებში ვეძიებდი, საშველს ჩემდა განსაკურნათ.

მახსოვს, მახსოვს, ისიც მახსოვს, როს ვსტიროდი, როს ვჟივოდი,

მაგრამ იმედს არ ვკარგავდი, მომავალზე კარგს ვფიქრობდი.

ივლისი. 1912 წ.

ქუთაისი.

დონ-ლანი.

## ქალ-ვაჟი.

(გუძღვნი ზოგაერთ კუდაზიკა გაუთხ. ქალებს)  
ვაჟი. არ შეიძლება რომ ცოლათ გამო-მყვეთ?

ქალი. (გაჯავრებული) ძლიერ ცდებით, რომ მაგდენ უფლებას აძლევთ თავის თავს!

ვაჟი. როგორ?!!

ქალი. როგორ თუ როგორ, შენ კი არა შენისთანები მოსამსახურეთ ყავდა ათი, ისეთმა მთხოვა ცოლათ გაყოლა მაგრამ უარი ვტკიცე.

ვაჟი... უკაცრავათ... არ ვიცოდი თუ

ჩემს მეტმა თქვენ გთხოვთ ცოლათ გაყოლა... მეც მიტომ გთხოვეთ, რომ ქვრივი ვარ და ნამდვილი შესაფერი თქვენიც, რადგან თქვენც ქვრივი უნდა იყვეთ...

ქალი. (გაკაპასებული) როგორ თუ ქვრივი, რას მიბედავ მაგას, ჩქარა აქედან მომშორდით...

ვაჟი. კიდევ უკაცრავათ... არ ვიცოდი თქვენ თუ გაუთხოვარი იყავით, რადგან წლოვანობით 30-35 წლის უნდა იყვეთ. ეხლა, თქვენც რომ არ მითხრათ მომშორდითო, ისეც სიამოვნებით მოგშორდებით. ჩემთვის ბევრათ უმჯობესია გათხოვილ-ქვრივს ცოლათ შერთვა, ვინემ გაუთხოვარი ქვრივსა. (ვაჟი მოშორდა და თავის-

თვის ჩაილაპარაკა: ააშენა ღმერთმა რომ უარი მითხრა ცოლობაზე, თორემ მასთან მე კი არა ეშმაკივერ იცხოვრებს, ისეთი კაპასი ყოფილა. ნეტა ვინ იყო ის სულელი, ჩემისანა ათი მოსამსახურე ყავდა და მაგას სთხოვა ცოლობა. ალბათ ვინც არის იაფათ ყოფილა ჭკვაზე.

წიპარტი.

### ირგვლივ ბნელა...

ირგვლივ ბნელა. ჯერ ან მძინარს

განთიადი ძოქლვანა,  
ბნელ წევდად ქვეშ მძიმეთ გვხესას  
მშობელ ქვეყნის ტურფა მხარე.

ძვედან სახუმის უკუნეთში  
შთანთქმულა, მთლათ მთა და ბანი,  
და ზეწარი ბნელ-წევდიადის  
დასწულაა შესაზარი.

მხლად ქანა ქმნის, ზუსუნებს  
გვხესით დასტინს ველს მდუძანეს,  
თითქოს ნანას კუბნებ  
დაბღებულ მშობელ ანეს.

კადით-კადე შავ ბედითა  
ისმის მხლად უგვთ ჩხავილი...

გულს გლავს სევდა განძანი,  
ანსით ისმის ხმა, მანიალი.

ასევე ბნელა და ანსად სჩანს

განთიადი ძოქლვანა...  
ბნელ წევდად ქვეშ მწარეთ გვხესას  
მშობელ ქვეყნის ტურფა მხარე.

კ. ქუთათელი.

### მაჭანკალი და გასათხოვარი ქალი.

(ბუდიფნიკიდან.)

**მაჭანკალი**—სონაჯან, სონა ქოქოლა  
კი დავაყარე მაგ თავზე მოიხე ერთი აქეთ  
რას იბუტები

**ვასთ.** ქალი—ქა რა და გემართა შენა  
რაიყო რისთვის მაყრი ქოქოლასა.!

**მაჭანკალი**—ვა, რასა ჯავრობ ქა ჯან?  
მე შენთვის საქმარობი მყავს თუგინდა  
გაგირიგებ, ისეთები არიან რომა ავ თვალს  
არ შეხედება.

**ვასთ.** ქალ—როგორ არ მინდა ქა სულ  
გათხოვებაზე არ ვფიქრობ—საქმარობს  
ძებნა ღამე ძილსა არ მაძლევს.

**მაჭანკალი**—აი სონა ჯან მე შენთვისა  
მყავს არჩეული ყმაწვილები რომა სულ  
ცეცხლსა აფრქვევენ ხელობითა არიან  
ზოგი ლიტოგრაფი, ზოგი კალიგრაფი, ზოგი  
ფოტოგრაფი, აირჩიე რომელიც მოგწონს  
და მე ნუ მოგიკვდები ქა ჯან მალე შენ  
გავათხოვო.

**ვასთ.** ქალი—ო,ო, ძალიან კარგი  
რამ არ გეგულება იეთი საქმრო უბრალო  
გრაფი იყოს, ლიტო, ფოტო და კალი  
არ ქონდეს, **ღამურა.**

### ს ც ე ნ ა

(სოფლის აქიმბაშებზედ.)

— პოლექსია!... პოლექსია!... პო-  
ლექსია! გოგო!..

— შინ ბრძანდები? მობძანდით აქსე..

— მნახე ერთ მინუტას თუ ღმერთი  
გწამს, ძვეარ პელაგია.

— მაქეთ აღარ მცალია რა გნებავს.?

— საილა ჰო!... მღობიტეს უთხარი  
ჩემ მაგიერათ ჰო... თუ ქალიხარ თქვა  
შენს ქმარშვილს შეეწევა მთა წმინდის  
წმინდა გიორგი ხახულისა ოქროს ჯვარი,  
და ანჩის ხატი, ეგება რამეფერათ სადმე  
ქარ-ხაფრა ქარ-უქმურის წამალი გქონ-  
დეს დარჩენილი და მასესხე ერთი კობზი  
თქვა და ხვალ მწრუხრისას წავა ჩემი ქმარი  
დალუნდარიძის ქალთან გამოართმევს და  
უსიკვდილოთ მოგართმევთქვა. რალაცა  
ბავში გამიხნდა ავათ და მიშველეთქვა.  
ნამდვილოთ უქმურია ან და თვალი ეცა.

— შენ არ მომიკვდე მისგან უფრო  
ჩვენ უქმურის წამალი აღარ გქონდეს  
თვარა დამიკავოს ღმერთმა კბილები თუ  
ლაგიკავო. მარა საილა ჰო! ბეჩა ბოთე  
ჩვენი ბიჭი იყო ავათ მარა გურქანა  
გამოვალოციე და ქე მორჩა ისთე ქენი  
ღეობარე გურქანა და გათავდა საქმე...  
(მოყავს მეზობელი გურქანა).

**ბურქანა**—აბა მომეცით შევტარიანი  
დნა და ნახშირი... მოუხთება ავათმყობს  
(მისცემენ და დაიწყებს ნახშირის თლას  
დანით და ლოცვილობს) გულო მოდი  
საგულესა ნუ წასულხარ სამგუნესა შეგი-  
კვრავ წითელ კაბას გეცეს თვალი ჩხია  
ქალისასა, თვალი ჩხა კაცისასა. ფუ...  
ასე გაქრა, ფუ ასე გაქრა შენი ავი  
თვალით, ავი გულით შემხედავი.

შენს გამთვალავს: ნალი---ეკალა, მამ-  
გარა, გველის ფხა, წუმ-წუმის ცეცხლი,  
ვაი და უი, ქვა ქალაური, წიქტა ფიწა-  
ლი, დეცა ღვთის ძალი, ფუ ასე გაქრა  
ფუ ასე გაქრა შენი ავი თვალით ავი  
სულით შემხედავი (და მიუყრის ცხვი-  
პირში დაფშენილს ნახშირი და დაუწრუ-  
პუნებს დაიწყებს თავიდან და სამჯერ გა-  
იმეორებს) გასკდა შავი კდე გამოვიდა  
შავი გველი, გასკდა ყვითელი კლდე გა-  
მოვიდა ყვითელი ხელიკი, დედალი საბუ-  
ღარსა გულო მოდი ოქონასა. გათავებს

და მიაართმევენ ერთ წველა ყველს ორ  
შაურს ფულს ერთ თებშს ღომს და მი-  
დის ავათმყოფი რაღაცა მანქანებით მეო-  
რე მესამე დღეს ცოტა უკვეთ შეიქნება  
და ამბობენ სულზე მიუსწრო გურქანამ  
თვარა კილამ მომიკვდა. მისწრებაა ღმერთ-  
მანი მისწრებაო. **ძმუისელე ხვლიკი.**

### ს ა ა მ ღ რ ი ი.

(იმერულ პანგზე).

რას ჩლიტინობ კვირიკა,--  
ქე ვინ აგიკირიკა?  
ერთი ქალი შემომხვთა--  
დამეტახა და მდრიკა!...  
ქე იმ ოჯახ დაქცეულს--  
ზნემ თუ წამოუარა.  
მაგას რაიზა ამბობ,--  
ბორკილი--გაეყარა:  
მხარზე ჩანთა ეკიდა,  
ფეხებში გაეხლართა,  
გამოსახსნათ ვერ დაწვდა  
ჯირკივით წამოიქცა,  
უცბათ ელდა ეტაკა,  
შეფერდა--გადაიქცა.  
ამას რას მოვესწარით--  
გუშინ ქალი შემომხვთა:  
თავზე გორო დაედგა,  
ზედ ბალი გაემართა.  
ამ მოდნებში მე ისევ--  
შაღვრები მირჩვენია,  
ძმავ ლარიბი კაცი ვარ  
სად მაქვს მოსარჩენია?!.  
მეც ჩავიცვამ, ქალიცა,  
რიგ-რიგ ვივლით „სავოსტეთ“  
ამ მოდნების მომგონის  
ზურგი მომცა საროზგეთ!..

#### ა. ხაბულიანი.

#### ღამაკვირლი.

შსახელო კაცს ყოველივე საქმეში ფიცი  
სჭირდება, მხოლოდ სახელოვანისთვის კი  
სიტყვაც საკმარისია.  
სამართალში, მოპასუხე მეტს ფიქრობს  
ვიდრე თვითან მოსამართლე.  
მდიდარი ფულითაც და ჯავრითაც მდი-  
დარია, ღარიბი კი ორივედან თავისუფალია.  
ღარიბს მდიდარიც ბრძნათ მიაჩნია.  
ბებერს ფული არ ასესხო რადგან სიკვტილი  
თავს დასტრიალებს.  
შალს თუ სილამაზე უნდა შერჩეს ქმარს  
არ უნდა წაყვეს და თუკაცს ჯანი ცოლი  
არ უნდა შეირთოს.  
ძარგია თუ ცოლი შავი და კაპასი

შეგხვდა: პირველის გამო კაცს გული არ  
მიუთ მასთან არ შიყობაზე, მეორეს გამო  
კი ახლოს ვერ მიეკარება შიშისაგან.

#### ფიჩხადე.

#### ბ. ალმანახის გამოცემელო!

ნება მიბოძეთ თქვენს პატივცემულ „ალ-  
მანახში“ შემდეგი მოვათავსო: ამას წი-  
ნათ ქალაქის წიგნ-საცავ-სამკითხველოში  
შემომივარდა „მგოსანი“ სერ. კლდ ი  
და ყოვლად უმიზეზოთ, უშვერი, უკანა-  
სკნელი სიტყვებით შემამეო. ამის შესახებ  
რა თქმა უნდა პატარა წერილი გაიგზა-  
ვნა „სახ. ზაზეთის“ რედაქციაში. სადაც  
მოკლედ აღნიშნავდენ თუ რამდენად  
შეუფერებელია კულტურულ დაწესებუ-  
ლებაში ზემოხსენებული გმირის მოქმედება  
და, რომ შემდეგში არ განმეორებულიყო,  
ურჩევდენ თვით ბიბლ.-მკითხველებს აელა-  
გმათ ხოლომე ასეთი თავხედნი. მაგრამ „სახ.  
ზაზეთმა“ არ ინება--დაბეჭვდა რადგან  
ეს „პირადი საქმეაო“--კარგი, თუნდ ასეც  
იყოს, მაგრამ ვეკითხებით „სახ. ზაზეთს“:  
„პირადი საქმისთვის“ უფლება აქვს ამა  
თუ იმ თავხედს, საზოგადოების კულტუ-  
რულ დაწესებულებაში შამოვარდეს და  
მყუდროება დაარღვიოს??? მაგრამ აქ  
„დადლის თავი სხვაგან მარხია“ ჩვენ პრესას  
საკმაოთ ეტყობა „ძმა ბიჭური“ და „ნათ-  
ლი მამური“ პურმარილის დაფასება. თუ-  
მას „ლექსებით“ და „ნოველებით“ არ  
ემსახურეთ და ყურადღება არ დაიმსა-  
ხურეთ მათში, ისე თქვენს წერილს რაც  
უნდა საყურადღებო იყოს არ დაგიბეჭვენ.  
ბვიასუხებენ:--„რაც პირად საქმის-  
თვის“ რედაქციის შეწყულება არ არის  
მოსაწონიო და სხვ... მახლას!\*)  
ზატ. ქუთ. ქაფ. ბაბაფ. გამგე. შ. ღორძის ასუდი.

\*) განა ახლა გაიგეთ ქ-ნო გამგე, რომ  
ჩვენი პრესის ნაწილი „ძმა ბიჭური“ და  
„აფხანიკური“ პრინციპებით უფრო ხელ  
მძღვანელობს, ვინემ სამართლიანობის! ამი-  
სათვის სრულებითნუ აღელდებით, გიკვირო,  
რომ ს. კ--ზე არაფელი დაგიბეჭდეს?! ის  
ხომ თანამშრომელია მათი და ესეც რომ იყოს  
აუარებელი „ნოველების“ ავტორი. თქვენი  
კი ერთი ლექსიც არ ახსოვს საზოგადოებას.  
რაც შეეხება ბიბლიოთეკაში მყუდროების  
ღარ ღვევას ეს არვის მიეტყვება და უფრო  
თქვენ, როგორც ამ დაწესებულების გამგე  
და თვალყურის მღვენელი. გვიკვირს რათ-  
კადრულობთ ბაღთან გამოკამათებას იწვევთ  
მას, როდესაც კარგათ იცით მი პირიდან უშ-  
ვერი სიტყვების მეტი არა გამოვია--თქვენ-  
თან ბრძოლის დროს. ამის მაგალითი  
იყო და კარგადაც გვახსოვს თვით ჩვენც  
კორრექტორი.

### ღამაზს.

შესდევ ღამაზო? ვერსათ წამიხვალ.  
მე შენ მიყვარხარ, შენ კი საღ მიხვალ!  
ვფიცავ ქვეშ მიწას და ზევით ცასა  
ვერ შავიყვარებ მე აწი სხვასა.

ნუ, გვერდს ნუ მივლი, ნუ, ხტი ვით კვიცი,  
შენც რომ გიყვარვარ ეს მეც კი ვიცი.  
მაშ მოდი, ნაზო, ჩემო მალხაზო.

„შანტეკლერ“ კაბით მსურს, რომ მოგ-  
კახმო

### ებრაელი

#### უცხო სიტყვების ახსნა:

მ თ გ ა ნ ე, — ეს ანის ძანქანა, რამ-  
ლის შეძწეობით ქუთაისის ქალაქის გან-  
გობა ანათებს ქუთაისის ზოგიერთ ქუ-  
ჩებს.

გ ა ნ გ უ ხ ა, — ეგ ანის ქუთაისის  
ქუჩების ცალხანში ამოვლებული ფეხი.

ქ უ თ ა ი ს ი ს ბ ა ღ ი ს ქ უ  
ჩ ა, — ეგ იგივეა რაც „ნაგვის ქუჩა“.

— ებრაელთა ქ ა ღ ე ბ ი ს ს აღ ა მ ი —  
ეს განსაკუთრებული მიმართულებაა გა-  
მონატრული შეძღვევ ფორმულაში: „დი-  
ლაშვიდობისა! ხომ მშვიდობითაა შენი  
ახალი რძალი, ხომ ან რსულაბს?

ქ რ ე ბ ი ს თ ა გ ი ს უ ფ ლ ე  
ბ ა, — ეს ისეთი თანისუფლებაა, რამ-  
დითაც სარგებლობენ ქუთათურა ძალ-  
ლები. ისინი ყოველდღე მართვენ კრე-  
ბას თეატრის წინ.

რ ა ჭ გ ე ლ ე ბ ი ს უ ბ ა ნ ა, —  
ესე იგი ქვანახების ქუჩა, ანუ უკეთ  
რამ ვთქვანთ ისეთი ქუჩა. რამქვანაც  
ანა აქვს ანც სანული და ანც გვანა.  
რამკანც ხმები ისმის აწი ეწოდება  
ფილიპ-მელიტონო-ბუტკოვსკი ზეკუ-  
ლაც. ზღინიუსი.

## პოსტა.

დ. ყ ვ ი რ ი ლ ა ა ე ტ ი გ — წმეს. თქვენ  
იწერებით დამიბეჭდვ ჩემი ლექსიო და

### განცხადება.\*

ზამგე ქალაქის მიკროსკოპიულ სადგუ-  
რისა, საქონლის ბეითალი, ამით  
აცხადებს, რომ მან ხსენებული სადგური

\*) ეს განცხადება მოგვიტანა ვინმე „ცინის ფე-  
რდელმა“ და გვთხოვა დაგვებეჭდა. ჩვენც რა  
თქმა უნდა განცხადების დაბეჭდვან უარი ვეღარ  
უთხარით, რადგან ერთი გოდორი ნახშირი შეგ-  
ვპირდა. ჩვენთვის, ისიც საინტერესოა ვიცოდეთ,  
ქალაქის გამგეობამ რა პირობებში დაუთმო უფა-  
სოთ შენობა საქონლის ბეითალს ნახშირის სკლა-  
დისთვის?

თქვენ იცით თუ ჩემს შრომას წყალს არ  
გაატანთო. მაგდენს სიკეთეს გიჩინებო  
რომ წყალს არ გავატანთ, კალათს კი.

ქ. ქუთაისი. ირ. მცირეწლოვანს.  
თქვენი ლეგენდა ასე თავდება:

„იმ პეტრე შაბათს რაც მღვდელემა  
ბოლოკსა ახლო კბილია  
მას შემდეგ სომხებისათვის  
პეტრე შაბათის ხსნილია“.

ეს ლექსაც ჩემო ძმობილო  
გახდა კალათის წილია.

დ. ს ა მ ტ რ ე დ ი ა. ს — ნს კულაშელს.  
ვერ დავსტამბავთ „ჩემს გულის მხეს“  
რადგან იგი კალათს უმზერს.

აქვე — ნ თამროს ძმას. თამროს ძმა კი  
არა, მაროს ძმაც რომ იყო თუ თავს  
დაგვანებებთ ძლიერ დაგიმადლებთ.

ქ. ქუთაისი. უჩინ-მაჩინს. თქვენი  
„იმე ბოშო რა დამემართა“, კალათისკენ  
წარსდგა.

დ. ქ ი ა თ უ რ ა შ ი. ვ. გაფრინდამ-  
ვილს. თქვენ რომ სწორეთ „გაზაფხუ-  
ლი“ საქმე გქონდათ დაღეული?!

ქ. ქუთაისი. ვ. იკოთელს. თქვენი  
ლექსი პატრონს ჩაბარდა.

იქვე ირაკლი სვედიაშვილს. რა მოგცე  
ძმაო რო მოგვშორდე?

ქ. ქუთაისი. სიმონ ნეველს. იწე-  
რებით, თუ საჭირო იქნება თქვენს გა-  
ზეთში ადგილი დაუთმეთო. ჩვენ ჯერ გა-  
ზეთი არ გამოგვიცია, ეგეც რომ არიყოს ჩემ  
ჩვენთვის საჭირო არ იყო ამიტომ არხივში  
შევიწახეთ.

ქ. ქუთაისი. დავ. გოცირიძეს. აწი  
თუ არაფერს გამოგვიგზავნით „მაყარი“  
ჩამოგისხამთ.

ქ. ქუთაისი. ბაყბაყ მღვეს. თქვე-  
ნის „მუზებს ვეძიებდი“ კალათში ჩავარ-  
და შეგიძლიათ იქ იპოვოთ.

ყველას, ვისაც ძველ გამოცემებში თუ ახლო  
პასუხი ვერ მივეცით: თქვენმა ნაწერებმა  
განისვენა წილსა აბრამისასა ხხვადასხვ  
მიზეხით...

გადააკეთა ნახშირის „სკლადით“ და მოუ-  
წოდებს მუშტრებს, რათა ზომიერ ფასე-  
ბში შეიძინონ საუკეთესო ხარისხის, საკუ-  
თარი მამულის, შავი ნახშირი. აღრესი:  
უფასო შენობა ქალაქისაგან დათმობილი,  
მიხაილოვის ქუჩა, კლუბის შესახვევი სა-  
დაც წინათ ქალაქის სამკითხველო წიგნსა-  
ცავი იმყოფებოდა.

### გამომცემელი სერგო გერსამია.